

ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა

*დამტკიცებულია
აკადემიური საბჭოს მიერ
2020 წლის 23 იანვარი, ოქმი N2*



ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა

შინაარსი

თავი I. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის მიზნები და ძირითადი პრინციპები

1. ზოგადი დებულებები;
2. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის მიზნები;
3. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა;
4. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპები;
5. ხარისხის უზრუნველყოფის უწყვეტობა და მიმართულებები;
6. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით;
7. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლა-სწავლებასა და სტუდენტის მხარდაჭერის მექანიზმებთან დაკავშირებით;
8. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა პერსონალის საქმიანობასთან დაკავშირებით;
9. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასა და ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით;
10. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა მართვის ეფექტიანობას, მონაცემების მენეჯმენტსა და საჯაროობასთან დაკავშირებით;
11. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა მატერიალურ, საინფორმაციო და ფინანსურ რესურსებთან დაკავშირებით.

თავი II. ხარისხის შეფასება, შეფასების მექანიზმები

1. ხარისხის შიდა შეფასება;
2. ხარისხის შიდა შეფასების ობიექტები/სფეროები;
3. ხარისხის შიდა შეფასების ეტაპები, პერიოდულობა და ინსტრუმენტები;
4. ხარისხის გარე შეფასება;
5. საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის შეფასება;
6. სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა-სწავლებისა და სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმების შეფასება;
7. აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საქმიანობის ხარისხის შეფასება;
8. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და ინტერნაციონალიზაციის ხარისხის შეფასება;
9. მართვის ეფექტიანობის, მონაცემების მენეჯმენტისა და საჯაროობის ხარისხის შეფასება;
10. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსურ რესურსების შეფასება;
11. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასების სისტემა.

დანართები

თავი I. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის მიზნები და პრინციპები

1

ზოგადი დებულებები

1. გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში „უნივერსიტეტი“) ხარისხის უზრუნველყოფა არის მართვის განუყოფელი ნაწილი და ეხება უნივერსიტეტის საქმიანობის ყველა სფეროს, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა კი წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფისა და უწყვეტი განვითარების სახელმძღვანელო დოკუმენტს.
2. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა ეფუძნება საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებს და უნივერსიტეტის სამართლებრივ აქტებს, ასევე, ითვალისწინებს უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებსა და სახელმძღვანელო პრინციპებს (ESG). საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის მართვის საერთაშორისო პრაქტიკას (IQM-ის სახელმძღვანელო „ხარისხის შიდა მართვა კომპეტენციებზე დაფუძნებულ განათლებაში“).

2

ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის მიზნები

1. **ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის მიზნებია:**
 - 1) უზრუნველყოს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ჩამოყალიბება, სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული სტანდარტების დაკმაყოფილება, უნივერსიტეტის ხარისხის კულტურის დანერგვა და უწყვეტი გაუმჯობესება.
 - 2) უზრუნველყოს მაღალი აკადემიური სტანდარტების, შედეგზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა და განვითარება; სტუდენტის ჩამოყალიბება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე სპეციალისტად; კურსდამთავრებულის დასაქმების ხელშეწყობა; საგანმანათლებლო პროცესისა და სტუდენტური სერვისების მიწოდების მაღალ დონეზე წარმართვა; საგანმანათლებლო პროგრამების საერთაშორისო მოთხოვნებთან თავსებადობის უზრუნველყოფა, სწავლა-სწავლებისა და კვლევის პროცესების ინტეგრაციისა და ინტერნაციონალიზაციის გზით.
 - 3) უზრუნველყოს აკადემიურ, სამეცნიერო და მმართველობით სფეროში საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლება; პროცესებში შიდა და გარე დაინტერესებული პირების მონაწილეობა და უნივერსიტეტის ცნობადობისა და აღიარების ხელშეწყობა.

3

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა

1. **გთუნის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა მოიცავს :**
 - 1) ხარისხის პოლიტიკის, პროცედურების, ინსტრუქციების, წესების/გზამკვლევების, დაგეგმვასთან დაკავშირებული პრაქტიკის, აქტივობების, კრიტერიუმების, ინსტრუმენტების, რეფლექსიისა და

ხარისხის გაუმჯობესებისკენ მიმართული ღონისძიებების ერთობლიობას, რომლებზე დაყრდნობითაც წარიმართება უნივერსიტეტის საქმიანობა.

- 2) შიდა და გარე შეფასების, ხარისხის კონტროლისა და მონიტორინგის მექანიზმების არსებობას, რომელთა მიზნია, განამტკიცოს წარმოდგენა იმის შესახებ, როგორ ასრულებს უნივერსიტეტი შესაბამის მოთხოვნებს (**კონტროლი**) და დაადგინოს განათლების ხარისხის სტანდარტებისადმი შესაბამისობა ხარისხის ინდიკატორების სისტემატური შეგროვებითა და ანალიზით (**მონიტორინგი**).

4

ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპები

1. **ძირითად პრინციპები:** უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების ხარისხის უზრუნველყოფა ყველა მხარის პასუხისმგებლობაა და ეფუძნება შემდეგ ძირითად პრინციპებს:
 - 1) ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის თანმიმდევრულობა და უწყვეტობა;
 - 2) მკაფიოდ და ნათლად დადგენილი პასუხისმგებლობები;
 - 3) გადაწყვეტილების მიღების პროცესების გამჭვირვალობა, ეფექტიანობა და დაინტერესებულ მხარეთა ეფექტიანი ჩართულობა;
 - 4) ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულებისა და სტრუქტურული ერთეულების პასუხისმგებლობის მაღალი დონე და დამოუკიდებლობა უფლებამოსილების ფარგლებში;
 - 5) ხარისხის უზრუნველყოფის სისტემატური შეფასება და შეფასების შედეგების გამოყენება ხარისხის გაუმჯობესების მიზნით;
 - 6) შეფასების პროცესში დისკრიმინაციის არდაშვება, აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკური ნორმების დაცვა.
2. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის რეალიზება ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო სამსახურების მეშვეობით და დაინტერესებული მხარეების ჩართულობით.
3. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის ეფექტიანი განხორციელების მიზნით უნივერსიტეტში შემუშავებულია შიდა და გარე შეფასების მექანიზმები, რაც ხელმისაწვდომია ხარისხზე პასუხისმგებელი და ყველა დაინტერესებული პირისთვის.

5

ხარისხის უზრუნველყოფის უწყვეტობა და მიმართულებები


1. **ხარისხის უზრუნველყოფის უწყვეტობა:** უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფა უწყვეტი პროცესია და ეფუძნება ფართოდ გავრცელებულ მეთოდს “PDCA” (ე.წ. დემინგის ციკლს), რომელიც გულისხმობს დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების და შედეგების გაუმჯობესების ფაზების უწყვეტობას.



“PDCA”

- PLAN -დაგეგმე
- DO -განახორციელე
- CHECK -შეამოწმე
- ACT -იმოქმედე

- 1) **დაგეგმვის ფაზა (Plan)**, რომლის დროსაც განისაზღვრება სტრატეგიული მიზნები და ამოცანები და მათ მისაღწევად/შესასრულებლად საჭირო მეთოდები, სტრუქტურები, სისტემები და პროცესები; ამავე ფაზაში იგეგმება შემოწმების ფორმები, კრიტერიუმები და შესრულების ვადები.
- 2) **განხორციელების/იმპლემენტაციის ფაზა (Do)**, რომლის დროსაც ხდება დაგეგმილი მიზნების, ამოცანების განხორციელება;
- 3) **შეფასების ფაზა (Check)**, რომლის დროსაც ხდება უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების, მათი შეფასების მეთოდებისა და მექანიზმების ეფექტურობის შედეგების და ფასდება როგორც განსაზღვრული ამოცანების, ასევე გამოყენებული მექანიზმებისა და მეთოდების
- 4) **გაუმჯობესების ფაზა (Act)**, რომლის დროსაც ხდება ხარისხის შეფასების შედეგებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებას და საქმიანობებს, რაც მიმართულია უნივერსიტეტში მიმდინარე ყველა პროცესის ხარისხის გაუმჯობესებისკენ.
2. ხარისხის უზრუნველყოფა და შეფასება ვრცელდება უნივერსიტეტის საქმიანობის ყველა ძირითად მიმართულებაზე და მოიცავს შემდეგს:



6

ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით

1. **საგანმანათლებლო პროგრამები:** ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით გულისხმობს, რომ:
 - 1) საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები უნდა შეესაბამებოდეს უნივერსიტეტის მისიას და წარმოადგენდეს სტრატეგიული განვითარების მთავარ ფოკუსს. პროგრამა სტუდენტს უნდა აძლევდეს, როგორც აკადემიურ ცოდნას, ასევე უნარებს, რომლებიც გავლენას მოახდინენ მის პიროვნულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლაზე.
 - 2) უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამები ისე უნდა ჩამოყალიბდეს, რომ სტუდენტმა მიაღწიოს განსაზღვრულ მიზნებს და სწავლის მოსალოდნელ შედეგებს, ითვალისწინებდეს დარგობრივ სტანდარტებს (არსებობის შემთხვევაში), ეფუძნებოდეს დარგის უხლეს მიღწევებს,

თანამედროვე და განახლებად ეროვნულ და უცხოურენოვან ლიტერატურას და სრულად შეესაბამებოდეს უმაღლესი განათლების ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს.

- 3) უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამები უნდა შემუშავდეს შრომის ბაზრის კვლევის შედეგად, ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით. პროგრამების შემუშავებისა და განვითარების პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილება (მაგ. საზღვარგარეთის პარტნიორი უნივერსიტეტების) და პერიოდულად უნდა ხდებოდეს მათთან დადარება.
- 4) პროგრამები უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოში აღიარებულ და მოქმედ სტანდარტებს და იძლეოდეს სტუდენტის დაუბრკოლებელი პროგრესის საშუალებას; იყოს მოქნილი,
- 5) საგანმანათლებლო პროგრამები, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით, სტუდენტს უნდა სთავაზობდეს პრაქტიკული განათლების მიღების შესაძლებლობას, აგრეთვე სტუდენტის პროფესიული ზრდის ღონისძიებებს (ტრენინგები, სტაჟირება, მასტერ-კლასები და სხვა).
- 6) საგანმანათლებლო პროგრამები საჯარო და ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა დაინტერესებული მხარისთვის და საზოგადოების ფართო ფენებისთვის.

2. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები: ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა პროგრამის სწავლის შედეგებთან დაკავშირებით გულისხმობს, რომ:

- 1) პროგრამას უნდა ჰქონდეს ნათლად ჩამოყალიბებული სწავლის შედეგები, რომლებიც შეესაბამება პროგრამის მიზნებს, რაც უნდა აისახოს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკაზე; უნდა იყოს მიღწევადი, რეალისტური და გაზომვადი (რაც მათ შეფასებას გულისხმობს);
- 2) პროგრამის სწავლის შედეგები უნდა აღწერდეს იმ ცოდნას, უნარებსა და პასუხისმგებლობას/ ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას. პროგრამის სწავლის შედეგები უნდა შეესაბამებოდეს მისანიჭებელ კვალიფიკაციას და სწავლების საფეხურს;
- 3) საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები უნდა განსხვავდებოდეს სირთულის მიხედვით. იმ შემთხვევაში, თუ პროგრამა არის რეგულირებადი, მაშინ სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას, ასევე, უნდა მოხდეს დარგობრივი მახასიათებლის გათვალისწინება;
- 4) სწავლის შედეგებში ასახული უნდა იყოს ბაზრის მოთხოვნებიც, რომლებიც დაფუძნებული იქნება შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზზე. იმისათვის, რომ სწავლის შედეგებში ასახული იყოს დარგის სპეციფიკა და შრომის ბაზრის მოთხოვნები, სწავლის შედეგების შედგენის პროცესში ჩართულნი უნდა იყვნენ აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები და კურსდამთავრებულები, შესაბამისი სფეროს დამსაქმებლები და ა.შ. შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი გულისხმობს იმის დადგენას, თუ რა საჭიროებაა აღნიშნულ დარგში, რა ცოდნისა და უნარების ფლობას ითხოვს დამსაქმებელი;
- 5) მნიშვნელოვანია მსოფლიოში არსებული საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებაც და მსგავსი პროგრამების და/ან დარგობრივი მახასიათებლების სწავლის შედეგების გათვალისწინება. აღნიშნული ინფორმაცია შეიძლება მოიპოვებულ იქნეს დამსაქმებელთა გამოკითხვით, ფოკუს-ჯგუფების ჩატარებით, არსებული მონაცემების გამოყენებით და ა.შ.;
- 6) სწავლის შედეგების შეფასებისთვის განსაზღვრული უნდა იყოს პერიოდი, კონკრეტული დავალება, სამიზნე ნიშნულები, პასუხისმგებელი პირი და შეფასების მექანიზმები.

3. მეთოდოლოგიური და სამართლებრივი ბაზა: საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფისთვის, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესებისა და სტანდარტების მიხედვით, უნივერსიტეტში შემუშავებულია და მოქმედებს:

- 1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- 2) სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- 3) სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისა და შეფასების მეთოდოლოგია;
- 4) სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია;
- 5) სტუდენტთა მიღწევების შეფასების წესი.
- 6) აკადემიური კალენდრის შედგენის წესი;
- 7) სწავლა-სწავლების მეთოდური რეკომენდაციები (“დიდაქტიკური კონცეფცია”).
- 8) ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მეთოდოლოგია;
- 9) სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი;
- 10) საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესი;
- 11) სტუდენტთა მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერის მექანიზმები;
- 12) გამოცდების ჩატარების წესი;
- 13) სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- 14) აკადემიური ნაშრომის სტანდარტი;
- 15) საბაკალავრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესი;
- 16) სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესი;
- 17) პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და მასზე რეაგირების წესი;
- 18) სტუდენტის ეთიკის კოდექსი;
- 19) თანამშრომელთა ეთიკის კოდექსი;

4. განათლების ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამების და სასწავლო პროცესის შეფასებას სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. შეფასებამ უნდა გამოიწვიოს პროგრამების უწყვეტი გაუმჯობესება.

7 ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლა-სწავლებასა და სტუდენტის მხარდაჭერის მექანიზმებთან დაკავშირებით

1. სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა-სწავლება: ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლა-სწავლებასთან დაკავშირებით გულისხმობს, რომ:

- 1) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ასევე სტუდენტის შედეგების შეფასება განსაკუთრებული ყურადღებითა და სიფრთხილით უნდა განიხილებოდეს, რადგან სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა-სწავლება მნიშვნელოვან როლს ასრულებს სტუდენტის მოტივაციის ზრდასა და სასწავლო პროცესში ჩართულობის სტიმულირებაში.
- 2) უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამის მრავალფეროვანი და თანამედროვე პედაგოგიური მეთოდებით მიწოდება, რაც წახალისებს სტუდენტს შეასრულოს აქტიური როლი სასწავლო პროცესში.

- 3) სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებებისთვის გამოყენებული უნდა იყოს საგანმანათლებლო მომსახურების მიწოდების განსხვავებული ფორმები (ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ჰიბრიდული სწავლება და სხვა). ასევე, რეგულარულად უნდა ფასდებოდეს ინდივიდუალური საგანმანათლებლო მომსახურების მიწოდების ფორმები და პედაგოგიური მეთოდები.
 - 4) სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომები უნდა უვითარებდეს მას ავტონომიურობის გრძნობას და უზრუნველყოფდეს ადეკვატურ კონსულტაციებსა და მხარდაჭერას აკადემიური პერსონალის მხრიდან; ხელს უწყობდეს ურთიერთპატივისცემისა და ნდობის ჩამოყალიბებას აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტს შორის.
 - 5) უნივერსიტეტმა უნდა ჩამოაყალიბოს შეფასების სანდო, ვალიდური, გამჭვირვალე და ობიექტური სისტემა. ყველა სტუდენტის მიმართ უნდა არსებობდეს შეფასების თანამიმდევრული და სამართლიანი მიდგომები და შეფასებასთან დაკავშირებული აპელაციის ფორმალური პროცედურა. ამასთან, შემფასებლისთვის კარგად უნდა იყოს ცნობილი შეფასების წესები, პროცედურები და შეფასების მრავალფეროვანი მეთოდები, რისთვისაც გთუნიმ უნდა უზრუნველყოს აკადემიური და მოწვეულში პერსონალის მხარდაჭერა ამ მიმართულებით უნარების განვითარებისათვის.
 - 6) აკადემიურ პერსონალს, აკადემიური თავისუფლების ფარგლებში, შემუშავებული უნდა ჰქონდეს თითოეული კომპონენტის შეფასების კრიტერიუმები და მეთოდები, ისევე როგორც ქულის მინიჭების კრიტერიუმები, რაც ნათლად უნდა აღწეროს სილაბუსში და წინასწარ გააცნოს სტუდენტს. ზოგიერთ კომპონენტში (პრაქტიკა, საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომი) სტუდენტის შეფასება უნდა განხორციელდეს ერთზე მეტი შემფასებლის მიერ;
 - 7) გთუნიმ შეფასების რეგულაციები უნდა ითვალისწინებს შემამსუბუქებელ (საპატიო) გარემოებებს და სტუდენტი უნდა იღებდეს შეფასებასთან დაკავშირებულ უკუკავშირს.
- 2. სტუდენტის მხარდაჭერის მექანიზმები:** ხარისხის უზრუნველყოფი პოლიტიკა სტუდენტის მხარდაჭერის მექანიზმებთან დაკავშირებით გულისხმობს, რომ:
- 1) უნივერსიტეტი უნდა სთავაზობდეს სტუდენტებს მატერიალური რესურსების ფართო სპექტრს, აკადემიური მხარდაჭერას კონსულტანტების (ტუტორების) და სხვა მრჩეველთა სახით, გარკვეულ ფინანსურ შეღავათებს;
 - 2) სასწავლო რესურსებისა და სტუდენტების მხარდაჭერის დაგეგმვის, განაწილებისა და უზრუნველყოფისას უნივერსიტეტი უნდა ითვალისწინებდეს სხვადასხვა კატეგორიის სტუდენტის სპეციალურ საჭიროებებს და ქმნიდეს სათანადო პირობებს მათი ინტეგრაციისთვის;
 - 3) სტუდენტთა მხარდაჭერი სერვისების მიწოდებაში ჩართული ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი უნდა იყოს კვალიფიციური და ჰქონდეს შესაძლებლობა განივითაროს საკუთარი კომპეტენციები ამ მიმართულებით;
- 3. მეთოდოლოგიური და სამართლებრივი ბაზა:** სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა-სწავლებისა და სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმების უზრუნველსაყოფად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესებისა და სტანდარტების მიხედვით, უნივერსიტეტში შემუშავებულია და მოქმედებს:
- 1) სტუდენტის ეთიკის კოდექსი;
 - 2) ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მეთოდოლოგია;
 - 3) აკადემიური პროგრამების კონსულტაციის (ტუტორიალის) განხორციელების წესი;
 - 4) სტუდენტთა მოწყვლადი ჯგუფის მხარდაჭერის მექანიზმები;

- 5) სახელობითი და ჩვეულებრივი სტიპენდიების მინიჭების წესი;
 - 6) სტუდენტის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები.
4. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერიოდულად აფასებს სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლა-სწავლებისა და მხარდაჭერის მექანიზმების პროცესს სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. ანალიზებს მიღებულ ინფორმაციას და საჭიროების შემთხვევაში გეგმავს გაუმჯობესების ღონისძიებებს.

1. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა აკადემიურ, ადმინისტრაციულ, დამხმარე და მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებით გულისხმობს, რომ:
 - 1) თანამშრომელთა შერჩევა, მიღება, ანაზღაურება, დაწინაურება, წახალისება და სხვა საკადრო გადაწყვეტილებები უნდა მოხდეს პირის პროფესიული კომპეტენციების, პასუხისმგებლობებისა და დამსახურების გათვალისწინებით; პერსონალის მიერ ვალდებულებების შესრულება უნდა ხდებოდეს თვითკონტროლით და არა გარეშე სანქციებითა და ინდივიდზე ზეწოლით.
 - 2) დაცული უნდა იყოს მართვის ობიექტურობის, მიუკერძოებლობისა და გამჭვირვალობის პრინციპები; ყველა თანამშრომელს უნდა ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობები უნივერსიტეტის მიზნების, ამოცანების ჩამოყალიბების, მათი განხორციელებისა და სამუშაოს შეფასების პროცესში.
 - 3) უნივერსიტეტმა უნდა შექმნას და განავითაროს პერსონალის საქმიანობისთვის ხელსაყრელი პირობები, მხარს უნდა უჭერდეს, ქმნიდეს და აუმჯობესებდეს პერსონალის პროფესიული განვითარების შესაძლებლობებს.
2. **მეთოდოლოგიური და სამართლებრივი ბაზა:** აკადემიურ, მოწვეულ, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან დაკავშირებით ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით უნივერსიტეტში შემუშავებულია და მოქმედებს:
 - 1) პერსონალის მართვის პოლიტიკა;
 - 2) სტრუქტურული ერთეულების დებულებები;
 - 3) აკადემიური, ადმინისტრაციული, დამხმარე და მოწვეული პერსონალის, მასწავლებლის თანამდებობაზე არჩევისა და დანიშვნის წესი;
 - 4) პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
 - 5) აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა;
 - 6) აკადემიური პერსონალის აფილირების წესი და პირობები;
 - 7) აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
 - 8) ახალგაზრდა კადრის მოზიდვისა და შენარჩუნების მექანიზმები;
 - 9) სამეცნიერო საქმიანობის განვითარების სტრატეგია;
 - 10) მიზნობრივი სამეცნიერო კვლევითი პროექტის საგრანტო კონკურსის დებულება;
 - 11) სამეცნიერო საქმიანობის მხარდაჭერის მექანიზმები.
3. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერიოდულად აფასებს აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საქმიანობას სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. ანალიზებს მიღებულ ინფორმაციას და გეგმავს პერსონალის მართვისა და განვითარების გაუმჯობესების ღონისძიებებს.

1. **სამეცნიერო-კვლევით საქმიანობა:** ხარისხის პოლიტიკა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასა და ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით გულისხმობს, რომ:
 - 1) უნივერსიტეტი სამეცნიერო საქმიანობის განხორციელებისას აკადემიურ თავისუფლებას უნდა განიხილავდეს როგორც სახელმძღვანელო პრინციპს, ხელს უწყობდეს კვლევით საქმიანობას, მის ადმინისტრაციულ, მატერიალურ და ფინანსურ მხარდაჭერას.
 - 2) სამეცნიერო საქმიანობაში ჩართული პირები თავიანთ საქმიანობას უნდა ახორციელებდნენ სხვათა აზრების, რწმენისა და ღირებულებების მიმართ ტოლერანტული დამოკიდებულებით; აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით; სამართლიანი ანგარიშვალდებულებით მიდგომებით, როგორც საკუთარ, ასევე სხვათა მიერ განხორციელებულ კვლევით პროცესში ჩართული პირების, მათ შორის სტუდენტების მიმართ; გუნდურობის პრინციპის დაცვით; ახალგაზრდა თაობის პოტენციალის გაძლიერებით;
 - 3) გთუნის მიერ განხორციელებული სამეცნიერო კვლევები უნდა ემსახურებოდეს სტუდენტთა ინტერესებს, შესაბამისად სამეცნიერო საქმიანობის შედეგები აქტიურად უნდა იქნეს გამოყენებული სწავლა-სწავლების პროცესში.
 - 4) სამეცნიერო საქმიანობის ეფექტიანობისთვის უნივერსიტეტმა უნდა ითანამშრომლოს ადგილობრივ და საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებთან, კვლევით ინსტიტუტებთან, კერძო და საჯარო ორგანიზაციებთან, რათა შესძლოს ერთობლივი კვლევების განხორციელება ან მათში მონაწილეობის მიღება; ასევე საზოგადოების წარმომადგენლებთან, რათა შესაძლებლობების ფარგლებში გადაჭრას საზოგადოების წინაშე მდგარი კონკრეტული პრობლემები, დააკმაყოფილოს მისი ინტერესები და ეს პრინციპი გაითვალისწინოს კვლევის პრიორიტეტების განსაზღვრის დროს.
2. **ინტერნაციონალიზაცია**
 - 1) უნივერსიტეტი უნდა აცნობიერებდეს, რომ მისი საქმიანობა არა მხოლოდ ქვეყნის, არამედ რეგიონულ და გლობალურ პერსპექტივებზე უნდა იყოს ორიენტირებული და, რომ უაღრესად კონკურენტულ საგანმანათლებლო გარემოში მაღალი ხარისხისა და წარმატების საწინდარს დაწესებულების ინტერნაციონალიზაციაც წარმოადგენს.
 - 2) უნივერსიტეტისთვის ინტერნაციონალიზაცია კომპლექსური უწყვეტი და განგრძობადი პროცესია და გულისხმობს მთელი ინსტიტუციის ეტაპობრივ ინტერნაციონალიზაციას, რათა უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა იქცეს საერთო საუნივერსიტეტო მიზნად და ამ პროცესში რაც შეიძლება მეტი მონაწილე იყოს ჩართული.
 - 3) უნივერსიტეტისთვის ინტერნაციონალიზაცია უნდა იყოს საშუალება, მეთოდი და მექანიზმი, რომლითაც საუნივერსიტეტო საქმიანობა დაუკავშირდება საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო სისტემას; გაზრდის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებისა და აკადემიური პერსონალის კონკურენტუნარიანობას, ხელს შეუწყობს მათ წარმატებას და პროფესიულ განვითარებას.
3. **მეთოდოლოგიური და სამართლებრივი ბაზა:** ხარისხის პოლიტიკა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობისა და ინტერნაციონალიზაციის ხარისხის უზრუნველყოფისათვის უნივერსიტეტში შემუშავებულია და მოქმედებს:

ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა მართვის ეფექტიანობას, მონაცემების მენეჯმენტსა და საჯაროობასთან დაკავშირებით

- 1) სამეცნიერო საქმიანობის განვითარების სტრატეგია;
 - 2) მიზნობრივი სამეცნიერო კვლევითი პროექტის საგრანტო კონკურსის დებულება;
 - 3) სამეცნიერო საქმიანობის მხარდაჭერის მექანიზმები;
 - 4) ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა;
 - 5) უცხოელი სტუდენტების მოზიდვის მექანიზმები;
 - 6) გაფორმებულია თანამშრომლობის მემორანდუმები საზღვარგარეთის ინსტიტუციებთან.
4. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერიოდულად აფასებს სამეცნიერო საქმიანობისა და ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის განხორციელების მდგომარეობას სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. ანალიზებს მიღებულ ინფორმაციას და საჭიროების შემთხვევაში, გეგმავს გაუმჯობესების ღონისძიებებს.

1. **მართვის ეფექტიანობა:** ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა მართვის ეფექტიანობასთან დაკავშირებით გულისხმობს, რომ:
 - 1) მართვის ეფექტიანობას აქვს პირდაპირი გავლენა უნივერსიტეტის მიერ მიღწეულ შედეგებზე და ხარისხზე, ის უნდა წარმოადგენდეს მრავალკომპონენტურ, დაინტერესებულ პირთა მოთხოვნების გათვალისწინებაზე ორიენტირებულ სისტემას, რომლის ეფექტიანად მუშაობა ხელს უწყობს ხარისხიანი სასწავლო და სამეცნიერო პროცესების წარმართვას.
 - 2) მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესების თვალსაზრისით უნივერსიტეტის მართვა უნდა ეყრდნობოდეს პროცედურულ მიდომებს, დაფუძნებულს დაგეგმვის, საქმიანობის, შეფასებისა და გაუმჯობესების უწყვეტ ციკლზე (PDCA ციკლი).
2. **მონაცემების მენეჯმენტი და საჯაროობა:** ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა მონაცემების მენეჯმენტსა და საჯაროობასთან დაკავშირებით გულისხმობს, რომ:
 - 1) უნივერსიტეტი, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით, უნდა უზრუნველყოფდეს სათანადო ინფორმაციის შეგროვებასა და ანალიზს, რასაც გამოიყენებს საქმიანობის ეფექტიანად წარმართვისთვის.
 - 2) სანდო მონაცემი არსებითად მნიშვნელოვანია ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად და ასევე იმის გასაგებად, თუ რა მუშაობს კარგად და რას სჭირდება ყურადღების მიქცევა. შესაძლებელია ინფორმაციის შეგროვების სხვადასხვა გზის გამოყენება. მნიშვნელოვანია სტუდენტებისა და თანამშრომლების ჩართულობა, როგორც ინფორმაციის მიწოდებასა და ანალიზში, ასევე შემდგომი საქმიანობის დაგეგმვაში.
 - 3) უნივერსიტეტმა უნდა გამოაქვეყნოს ინფორმაცია თავისი საქმიანობის შესახებ და სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიში, რომელიც მკაფიო, ზუსტი, ობიექტური და ადვილად ხელმისაწვდომი უნდა იყოს არსებული და მომავალი სტუდენტებისათვის, ისევე, როგორც კურსდამთავრებულების, სხვა დაინტერესებული მხარეებისა და საზოგადოებისათვის.
3. **მეთოდოლოგიური და სამართლებრივი ბაზა:** მართვის ეფექტიანობის, ინფორმაციის მენეჯმენტისა და საჯაროობის უზრუნველყოფისთვის უნივერსიტეტში შემუშავებულია და მოქმედებს:
 - 1) უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა (2019-2025);
 - 2) სამოქმედო გეგმა (2019-2021);

- 3) უნივერსიტეტის დებულება;
 - 4) უნივერსიტეტის წესდება;
 - 5) უნივერსიტეტის შინაგანაწესი;
 - 6) უნივერსიტეტის სტრუქტურა;
 - 7) უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების დებულებები;
 - 8) აკადემიური საბჭოს დებულება;
 - 9) მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმები და შეფასების სისტემა;
 - 10) საქმისწარმოების წესი;
 - 11) მართვის ორგანოებში არჩევის წესი;
 - 12) უფლებამოსილების დელეგირების, პასუხისმგებლობის გადანაწილებისა და ანგარიშვალდებულების წესი;
 - 13) ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვისა და შეფასების წესი;
 - 14) ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და სისტემების მართვის პოლიტიკა;
 - 15) ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმა;
 - 16) სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის მექანიზმები;
 - 17) დაცვისა და უსაფრთხოების დებულება.
4. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წელიწადში ერთხელ აფასებს მართვის ეფექტურობის, ინფორმაციის ხარისხის, რელევანტობის, მართვისა და საჯაროობის შეფასებას სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. აანალიზებს მიღებულ ინფორმაციას და საჭიროების შემთხვევაში, გეგმავს გაუმჯობესების ღონისძიებებს.

ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა მატერიალურ, საინფორმაციო და ფინანსურ რესურსებთან დაკავშირებით

1. **მატერიალური რესურსი:** უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა მატერიალურ რესურსებთან დაკავშირებით გულისხმობს, რომ:
 - 1) დაწესებულების საკუთრებასა ან მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ნივთები) ემსახურებოდეს დაწესებულების საგანმანათლებლო მიზნების რეალიზაციას და შეესაბამებოდეს საგანმანათლებლო პროგრამის, კვლევითი საქმიანობის განხორციელების მოთხოვნებსა და არსებულ და/ან დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას.
 - 2) უნდა არსებობდეს სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი, მათ შორის, სასწავლო ლაბორატორიები, პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად საჭირო ინვენტარი, საინფორმაციო-ტექნოლოგიური აღჭურვილობა ან შესაბამის დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.
 - 3) უნივერსიტეტს უნდა ჰქონდეს პროგრამის განსახორციელებლად საჭირო (ბეჭდური და ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) წიგნადი ფონდი, რომელიც უნდა გამოირჩეოდეს მრავალფეროვნებით და იყოს განახლებადი დარგში მიმდინარე განვითარებების კვალდაკვალ. მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტებისთვის და აკადემიური პერსონალისთვის ხელმისაწვდომი იყოს

უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები (მაგ: EBSCO, ELSEVIER).

- 4) უნდა არსებობდეს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროების პირებისათვის.
- 2. საინფორმაციო რესურსი:** უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა საინფორმაციო რესურსებთან დაკავშირებით გულისხმობს, რომ:
 - 1) უნივერსიტეტი მუდმივად უნდა ზრუნავდეს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნაზე და ახორციელებდეს ხელმისაწვდომი საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და სისტემების დანერგვასა და განვითარებას როგორც მართვის, ასევე უშუალოდ სასწავლო პროცესში, ახდენდეს მხარდამჭერი ციფრული სერვისების განვითარებას.
 - 2) უზრუნველყოფილი იყოს ინფორმაციის დამუშავების პროცესში მოულოდნელი წყვეტის რისკის შემცირება და ფორსმაჟორულ სიტუაციაში სისტემის დროულად აღდგენა; უნივერსიტეტში დანერგილი ინფორმაციული სისტემების ძირითადი მონაცემის სარეზერვო ასლების აღება საარქივო მასალის უსაფრთხოდ შენახვა და მართვა.
- 3. ფინანსური რესურსი:** უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა ფინანსურ რესურსებთან დაკავშირებით გულისხმობს, რომ:
 - 1) საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობისთვის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა უნდა იყოს ეკონომიკურად მიღწევადი. უნდა არსებობდეს დაფინანსების დივერსიფიცირებული წყაროები, რომლებიც რისკების მართვას უზრუნველყოფს ადეკვატურად და ეფექტურად.
 - 2) ხარჯებში გათვალისწინებული უნდა იყოს პროგრამით გათვალისწინებული აქტივობების უზრუნველყოფა (მაგ., კონფერენციებში მონაწილეობა; საერთაშორისო ჟურნალებში სტატიის პუბლიკაცია; წიგნადი ფონდის განახლება; პერსონალის პროფესიული განვითარება და სხვ.).
- 4. მეთოდოლოგიური და სამართლებრივი ბაზა:** მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების ხარისხის უზრუნველყოფისათვის უნივერსიტეტში შემუშავებულია და მოქმედებს:
 - 1) უძრავი და მოძრავი ქონების ფლობის შესახებ და საინვენტარიზაციო აღწერილობა;
 - 2) ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და სისტემების მართვის პოლიტიკა;
 - 3) დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის დებულება;
 - 4) სამედიცინო კაბინეტის დებულება;
 - 5) ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
 - 6) ბიბლიოთეკის რესურსებისა და სერვისების განვითარებისა და განახლების მექანიზმები;
 - 7) ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის და შეფასების წესი;
- 5. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური** პერიოდულად აფასებს მატერიალურ, საინფორმაციო და ფინანსურ რესურსებს სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. აანალიზებს მიღებულ ინფორმაციას და საჭიროების შემთხვევაში, გეგმავს გაუმჯობესების ღონისძიებებს.

თავი II. ხარისხის შეფასება და შეფასების მექანიზმები

ხარისხის უზრუნველყოფის განუყოფელი ნაწილია მისი შეფასება; უნივერსიტეტში მოქმედებს ხარისხის შეფასების შიდა და გარე მექანიზმები, რაც ხელს უწყობს უნივერსიტეტის მისიითა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

1

ხარისხის შიდა შეფასება

1. ზოგადი მიდგომები

- 1) ხარისხის შიდა შეფასება უნივერსიტეტის ერთ-ერთი ძირითადი პასუხისმგებლობაა და გულისხმობს უნივერსიტეტის საქმიანობის მიმართულებებისა და რესურსების უწყვეტ შეფასებას და განვითარებას. ხარისხის შიდა შეფასების სისტემის ეფექტურობისათვის, ის ხორციელდება პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების ჩართულობით და მათთან ეფექტიანი კომუნიკაციით.
- 2) უნივერსიტეტში ხარისხის შეფასების მიზნით გამოიყენება შიდა სისტემური და საჭიროებაზე დაფუძნებული კვლევები, რაც ხორციელდება როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი და შერეული მეთოდების გამოყენებით. კვლევების შედეგებზე დაყრდნობით მიიღება გადაწყვეტილებები შემდგომი განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების უწყვეტობის მიზნით.
- 3) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს ხარისხის შეფასების მექანიზმები, შეფასების ინსტრუმენტები და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურები. შეფასების მექანიზმებისა და ინსტრუმენტების ეფექტიანად გამოყენების მიზნით თანამშრომლობს ყველა სტრუქტურულ ერთეულთან.
- 4) ხარისხის შიდა შეფასება უზრუნველყოფს უკუკავშირს სხვადასხვა დაინტერესებული მხარეებისაგან, რაც საშუალებას აძლევს უნივერსიტეტს სხვადასხვა პერსპექტივიდან შეაფასოს თავისი საქმიანობა და მოახდინოს როგორც ძლიერი, ასევე გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება.
- 5) შეფასების პროცესი ეფუძნება გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების პრინციპებს; დაუშვებელია მონაცემთა ფალსიფიკაციისა თუ მანიპულაციის ნებისმიერი შემთხვევა, რაც გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს და საფრთხის ქვეშ დააყენებს ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პროცესებსა და პროცედურებს.

2. ხარისხის შიდა შეფასების სფეროები: ხარისხის შიდა (სისტემური) შეფასების ობიექტებია/სფეროებია:

- 1) საგანმანათლებლო პროგრამები;
- 2) სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა-სწავლებისა და სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმები;
- 3) უნივერსიტეტის პერსონალი;
- 4) კვლევა და ინტერნაციონალიზაცია;
- 5) მართვის ეფექტიანობა, ინფორმაციის მენეჯმენტი და საჯაროობა;
- 6) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები;
- 7) ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტიანობა.

8) შეფასების საჭიროებიდან გამომდინარე, უნივერსიტეტი დამატებით განსაზღვრავს შეფასების ობიექტებს.

3. ხარისხის შიდა შეფასების ეტაპები, პერიოდულობა და ინსტრუმენტები

ხარისხის შიდა შეფასების ეტაპები:

- 1) პირველ ეტაპზე განისაზღვრება შესაფასებელი სფეროს რელევანტური ინდიკატორები და კრიტერიუმები და ზუსტდება შეფასების მეთოდი;
- 2) მეორე ეტაპზე ხდება მონაცემების მოგროვება, რისთვისაც გამოიყენება შემდეგი ინსტრუმენტები : ანგარიშები, ოქმები, სტატისტიკური მასალა, კითხვარები.
- 3) მესამე ეტაპზე ტარდება კვლევა (სამაგიდე კვლევა, გამოკითხვა) და კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციის დამუშავება, გაანალიზება და სამიზნე ნიშნულებთან დადარება (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- 4) მეოთხე ეტაპზე, ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შეფასების შედეგების საფუძველზე შემუშავდება დასკვნები და რეკომენდაციები, მზადდება ანგარიში და წარედგინება რექტორს;
- 5) მეხუთე ეტაპზე ხდება რეკომენდაციების განხორციელება.

კვლევის პერიოდულობა

- 6) გამოსაკვლევი ობიექტის სპეციფიკის გათვალისწინებით, კვლევები ტარდება წელიწადში ერთხელ, შეფასების საჭიროებიდან გამომდინარე, უნივერსიტეტი დამატებით განსაზღვრავს შეფასების ობიექტებს და პერიოდებს, რომლის ვადების განსაზღვრა ხდება რექტორის აქტით.

კითხვარები

- 7) კვლევის მიზნების შესაბამისად შემუშავდება კითხვარები, რომელთა ტიპები და შედგენის ინსტრუქცია მოცემულია დოკუმენტში: „კითხვარების ტიპები და მათი შედგენის მეთოდოლოგია“, უნივერსიტეტში გამოყენებული კითხვარების ტიპებია: ღია და დახურული კითხვები; მონაცემების სკალები; დიქტომიური კითხვები; კითხვები მრავალი არჩევითი პასუხით; რანგული რიგი (რანჟირება); რეიტინგის სკალები; მუდმივი ჯამის მქონე კითხვები; თანაფარდობის შესახებ კითხვები; ღია კითხვები; მატრიცული კითხვები; შეჭიდული კითხვები, ფილტრები და განშტოებები.
- 8) გამოკითხვის მეთოდებად გამოყენებულია: ინტერნეტით გამოკითხვა, ანკეტა-კითხვარი, სატელეფონო გამოკითხვა ან პირისპირ ინტერვიუ, ასევე მათი კომბინაცია.

1. ხარისხის გარე შეფასების პროცესები მოიცავს პროგრამის ფორმალურ შეფასებას გარე ექსპერტების მიერ (ადგილობრივი ან საერთაშორისო ექსპერტი), უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიშზე დაყრდნობით (ავტორიზაცია, აკრედიტაცია). გარე შეფასება ტარდება სახელმწიფოს მიერ დადგენილ სტანდარტებთან მიმართებით.
2. ხარისხის გარე შეფასებას, თავისი მრავალფეროვანი ფორმებით, შეუძლია გადაამოწმოს ხარისხის შიდა უზრუნველყოფის ეფექტურობა, იმოქმედოს, როგორც გაუმჯობესების კატალიზატორმა და ახალი პერსპექტივები შესთავაზოს დაწესებულებას; გარე შეფასება დაინტერესებულ საზოგადოებას აწვდის ინფორმაციას გთუნი-ს საქმიანობის ხარისხის შესახებ;

3. უნივერსიტეტი განიხილავს გარე შეფასების შედეგად მიღებულ რეკომენდაციებს, დასახავს ხარისხის გაუმჯობესებების გზებს ან შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას, რომელიც მოიცავს სპეციფიკურ ინტერვენციებს, პასუხისმგებელ ორგანოებს/პერსონალს/ფაკულტეტს, დროის მონაკვეთსა და ა.შ;
4. საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება გამოყენებულ იქნეს განმავითარებელი კოლეგიალური შეფასების (სხვა უსდ-ებში დასაქმებული ქართველი და/ან უცხოელი კოლეგების მიერ) საუნივერსიტეტო საქმიანობის ამა თუ იმ ასპექტის გაუმჯობესების მიზნით.

3

საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის შეფასება

1. **პროგრამის შეფასების კომპონენტები:** საგანმანათლებლო პროგრამები ფასდება შემდეგი კომპონენტების საფუძველზე:
 - 1) პროგრამის მიზნები;
 - 2) პროგრამის სწავლის შედეგები;
 - 3) პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სტრუქტურა და შინაარსი;
 - 4) სასწავლო კურსები;
 - 5) პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი ;
 - 6) პროგრამის კვლევითი კომპონენტი;
 - 7) სწავლება-სწავლის მეთოდები;
 - 8) სტუდენტების შეფასება;
 - 9) სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა და სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება;
 - 10) პროგრამის ინტერნაციონალიზაცია;
 - 11) სამაგისტრო ნაშრომის, საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობა;
 - 12) ადამიანური რესურსი;
 - 13) აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება;
 - 14) პროგრამის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები;
 - 15) პროგრამის ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.
2. **ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური:**
 - 1) შეიმუშავებს საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეული კომპონენტის შეფასების ინდიკატორებს, კრიტერიუმებს და შეფასების ფორმას;
 - 2) შეიმუშავებს კითხვარებს სტუდენტის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, კურსდამთავრებულის, დამსაქმებლის დამოკიდებულებების, მოსაზრებებისა და წინადადებების კვლევისთვის, ანალიზებს და აფასებს გამოკითხვის შედეგებს.
 - 3) გეგმავს პროგრამების შეფასების პროცესს.
 - 4) შეფასებას ახორციელებს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეფასების ჯგუფთან (ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით) ერთად, რომელსაც განსაზღვრავს ფაკულტეტი.
 - 5) ანალიზებს შეფასების შედეგებს, ამზადებს დასკვნებსა და რეკომენდაციებს, რომელსაც წარუდგენს რექტორს.

3. შეფასების ინსტრუმენტები:

- 1) ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიში;
- 2) სტრუქტურული ერთეულების ანგარიშები;
- 3) საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმა;
- 4) სასწავლო კურსის სილაბუსის შეფასების ფორმა;
- 5) პროგრამაში ცვლილებების შეტანის ფორმა;
- 6) კრედიტების აღიარების ფორმა;
- 7) სწავლის შედეგების შეფასების გეგმები პროგრამების მიხედვით;
- 8) სწავლის შედეგების რუკა;
- 9) კურიკულუმის რუკა;
- 10) კოლეგიალური (ურთიერთდასწრების) შეფასების ფორმა;
- 11) პროგრამების სწავლის შედეგების რუბრიკები/კრიტერიუმები (პროგრამაზე არსებობის შემთხვევაში);
- 12) ელექტრონული ანტიპლაგიატის პლატფორმის URKUND დასკვნა;
- 13) სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კითხვარი;
- 14) პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კითხვარი;
- 15) სტუდენტის მიერ სასწავლო კურსის შეფასების კითხვარი;
- 16) კურსდამთავრებულის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კითხვარი;
- 17) დამსაქმებლის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კითხვარი;
- 18) სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამების კვლევითი კომპონენტის შეფასების კითხვარი;
- 19) კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და კარიერული წინსვლის კითხვარი;
- 20) სასწავლო პროცესის ორგანიზებით სტუდენტის კმაყოფილების კითხვარი;
- 21) სასწავლო პროცესის ორგანიზებით აკადემიური/მოწვეული პერსონალის კმაყოფილების კითხვარი ;
- 22) სწავლის შედეგების მიღწევის სტუდენტთა მიერ შეფასების კითხვარი;
- 23) სწავლის შედეგების მიღწევის ლექტორთა მიერ შეფასების კითხვარი;
- 24) კურსდამთავრებულის მიერ სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების კითხვარი;
- 25) სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება დამსაქმელთა მიერ;
- 26) სტუდენტთა კითხვარი პლაგიატთან დაკავშირებით.

4. პროგრამების შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურა

- 1) შეფასების შედეგების საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს დასკვნებსა და რეკომენდაციებს, პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის, პროგრამაში შესატანი ცვლილებების, სწავლის შედეგების რეფორმულირების, შეცვლის, ოპტიმიზების შესახებ (საჭიროების შემთხვევაში) და სწავლის შედეგების მიღწევის გზების გაუმჯობესების თაობაზე, პროგრამის არსებითი გადამუშავების ან სტანდარტებთან შეუსაბამობის შესახებ, რაც წარედგინება რექტორს;
- 2) მოქმედი პროგრამის შემთხვევაში აანალიზებს წინა შიდა ან გარე შეფასების რეკომენდაციების შესრულებას (არსებობის შემთხვევაში);

- 3) დასკვნებისა და რეკომენდაციების განხილვის შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში, ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამის სრულყოფა-მოდიფიცირება;
- 4) პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები მტკიცდება აკადემიური საბჭოს განკარგულებით, ხოლო ცვლილების განხორციელებას უზრუნველყოფს პროგრამის ხელმძღვანელი;
- 5) უნივერსიტეტი ითვალისწინებს, რომ შიდა შეფასების გარდა, საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანის ინიციატორი შეიძლება იყოს ნებისმიერი დაინტერესებული მხარე: სტუდენტთა ჯგუფი, აკადემიური პერსონალი, პროგრამის განმავითარებელი ჯგუფი, კათედრა, დეკანი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რექტორი, დამსაქმებელი. არგუმენტირებული ცვლილების მოთხოვნა განიხილება პროგრამის განმავითარებელი ჯგუფის მიერ, რომლის თანხმობის შემთხვევაში ცვლილება მტკიცდება უნივერსიტეტში მოქმედი წესის თანახმად.

4

უდენტზე ორიენტირებული სწავლა-სწავლებისა და სტუდენტის მხარდაჭერის მექანიზმების შეფასება

1. **შეფასების კომპონენტები:** სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა-სწავლებისა და სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმების შეფასების კომპონენტებია:
 - 1) ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
 - 2) სტუდენტთა საუნივერსიტეტო მხარდაჭერის მექანიზმები;
 - 3) მობილობა;
 - 4) სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერ ინტერესების დაცვა;
 - 5) ეთიკური ნორმების დაცვა.
2. **ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური:**
 - 1) შეიმუშავეს სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და მხარდაჭერის მექანიზმების შესაფასებელ კითხვარებს.
 - 2) გეგმავს შეფასების პროცესს, განსაზღვრავს შესაფასებელ საკითხებს, შეარჩევს შიდა შემფასებელთა ჯგუფს (ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით).
 - 6) შეფასებას ახორციელებს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეფასების ჯგუფთან (ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით) ერთად, რომელსაც განსაზღვრავს ფაკულტეტი.
 - 7) აანალიზებს შეფასების შედეგებს, ამზადებს დასკვნებსა და რეკომენდაციებს, რომელსაც წარუდგენს რექტორს.
3. **შეფასების ინსტრუმენტები:**
 - 1) ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
 - 2) სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობისა და კარიერული მხარდაჭერის განყოფილების ანგარიში;
 - 3) მობილობით გადმოსული სტუდენტების კითხვარი;
 - 4) კონსულტაციებით/ტუტორიალით სტუდენტთა კმაყოფილების კითხვარი;
 - 5) საუნივერსიტეტო მხარდაჭერით სტუდენტთა კმაყოფილების კითხვარი;
 - 6) სტუდენტთა უფლებების, კანონიერი ინტერესებისა და ეთიკის ნორმების დაცვასთან დაკავშირებული კითხვარი;

4. შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურა:

- 1) შიდა შეფასების შედეგების საფუძველზე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს დასკვნებსა და რეკომენდაციებს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების და სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმების გაუმჯობესების მიზნით (საჭიროების შემთხვევაში), რაც წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს, რის შემდეგაც ხორციელდება ცვლილებები;
- 2) დასკვნებისა და რეკომენდაციების განხილვის შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში, ხორციელდება სწავლა-სწავლებისა და სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმების სრულყოფა-მოდერნიზაცია.
- 3) შეფასების შედეგებზე დაყრდნობით მარეგულირებელი წესები ექვემდებარება გადახედვას, პროცესები კი - სრულყოფას/გაუმჯობესებას.

5

აკადემიური/მოწვეული/ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საქმიანობის ხარისხის შეფასება

1. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური:

- 1) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური არმ სამსახურთან ერთად განსაზღვრავს აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საქმიანობის ხარისხის შეფასების კომპონენტებს, შეიმუშავებს ინდიკატორებს, კრიტერიუმებს, მექანიზმებს და ფორმებს, რაც განსაზღვრულია დოკუმენტით „პერსონალის მართვის პოლიტიკა“.
- 2) აკადემიური რესურსების მართვის სამსახურთან ერთად გეგმავს შეფასების პროცესს;
- 3) შეფასებას ახორციელებს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეფასების გჯუფთან ერთად, რომელსაც (ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით) განსაზღვრავს ფაკულტეტი.
- 4) შიდა შეფასების შედეგების საფუძველზე შეიმუშავებს რეკომენდაციებს პერსონალის საქმიანობის ხარისხის ამაღლების მიზნით, რაც ხორციელდება რექტორთან შეთანხმებით სასწავლო წლის ბოლოს და/ან საჭიროების შემთხვევაში.

2. შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურა:

- 1) სასწავლო წლის ბოლოს, შიდა შეფასების შედეგების საფუძველზე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური არმ სამსახურთან ერთად შეიმუშავებს დასკვნებსა და რეკომენდაციებს პერსონალის საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით (საჭიროების შემთხვევაში), რაც წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს, რის შემდეგაც იგეგმება პერსონალის საქმიანობის ხარისხის ამაღლების ღონისძიებები;
- 2) განისაზღვრება პერსონალის მიერ წლის მანძილზე გაწეულ საქმიანობასთან დაკავშირებული რეაგირების წამახალისებელი, ან/და გასაუმჯობესებელი, ან/და კანონით გათვალისწინებული სხვა მექანიზმები;
- 3) შეფასების შედეგებზე დაყრდნობით პერსონალის საქმიანობის მარეგულირებელი წესები ექვემდებარება გადახედვას, პროცესები კი - სრულყოფას/გაუმჯობესებას;
- 4) **შენიშვნა:** სტუდენტის მიერ პროფესორის შეფასება წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას, რისი გასაჯაროების უფლება უნივერსიტეტს არა აქვს. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას. აკადემიური/მოწვეული პერსონალი იყენებს შეფასების შედეგებს და ზრუნავს პროფესიული განვითარებისთვის, ხოლო პროფესიული განვითარების შედეგებს ასახავს თვითშეფასების კითხვარში.

1. შეფასების კომპონენტები:

- 1) სტრატეგიული განვითარების გეგმით/სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ამოცანების შესრულება;
- 2) მართვის ეფექტიანობა;
- 3) მონაცემების მართვა და საჯაროობა.

2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური:

- 1) შეიმუშავებს მართვის ეფექტიანობის შეფასების ინდიკატორებს, კრიტერიუმებს და კითხვარებს;
- 2) გეგმავს შეფასების პროცესს, განსაზღვრავს შესაფასებელ საკითხებს, შეარჩევს შიდა შემფასებელთა ჯგუფს (ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით).
- 3) შიდა შეფასების შედეგების საფუძველზე, სასწავლო წლის ბოლოს შეიმუშავებს დასკვნებსა და რეკომენდაციებს მართვის ეფექტიანობის ხარისხის ამაღლების მიზნით და წარუდგენს რექტორს.

3. შეფასების ინსტრუმენტები:

- 1) სამოქმედო გეგმის შეფასების მონიტორინგის ჩარჩო/გეგმა;
- 2) ფაკულტეტების და ადმინისტრაციული პერსონალის/ სტრუქტურული ერთეულების ანგარიშები უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმის შესრულების თაობაზე;
- 3) უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში (კომპლექსური);
- 4) ნორმატიული დოკუმენტებით განსაზღვრული და ფაქტობრივი შედეგების შედარების ანალიზი;
- 5) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ანგარიში;
- 6) მონაცემები ეთიკის კოდექსის დაცვასთან დაკავშირებით;
- 7) მართვის ეფექტიანობით სტუდენტთა კმაყოფილების კითხვარი ;
- 8) მართვის ეფექტიანობით პერსონალის კმაყოფილების კითხვარი ;
- 9) კითხვარი პერსონალისთვის ეთიკის კოდექსთან დაკავშირებით ;
- 10) ინფორმაციის საჯაროობითა და ხელმისაწვდომობით სტუდენტთა კმაყოფილების კითხვარი ;
- 11) ინფორმაციის საჯაროობითა და ხელმისაწვდომობით პერსონალის კმაყოფილების კითხვარი ;
- 12) ინფორმაციის საჯაროობითა და ხელმისაწვდომობით გარე დაინტერესებულ პირთა კმაყოფილების კითხვარი;

4. შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურა:

- 1) სასწავლო წლის ბოლოს, შიდა შეფასების შედეგების საფუძველზე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს დასკვნებსა და რეკომენდაციებს მართვის ეფექტიანობის, ინფორმაციის მენეჯმენტისა და საჯაროობის მდგომარეობის თაობაზე და წარუდგენს რექტორს;
- 2) დასკვნებისა და რეკომენდაციების განხილვის შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში, იგეგმება მართვის ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებები;
- 3) შეფასებას შედეგად შეიძლება, ასევე, მოჰყვეს:
 - ა) სტრატეგიული გეგმის კორექტირება;
 - ბ) არსებული ხარვეზების აღმოფხვრა;
 - გ) მიღებული დასკვნების/რეკომენდაციების გათვალისწინება;
 - დ) სტრატეგიის/სამოქმედო გეგმის შეცვლა;
 - ე) ვებ-გვერდის შეცვლა და/ან ინფორმაციის შესაბამისობაში მოყვანა.

ვ) შეფასების შედეგებზე დაყრდნობით მართვასთან დაკავშირებული მარეგულირებელი წესები ექვემდებარება გადახედვას, პროცესები კი სრულყოფას/გაუმჯობესებას.

7

კვლევისა და ინტერნაციონალიზაციის ხარისხის შეფასება

1. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური :

- 1) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სასწავლო პროცესის მართვისა და მეცნიერების განყოფილებასთან ერთად სამსახურთან განსაზღვრავს კვლევითი საქმიანობის ხარისხის შეფასების კომპონენტებს, შეიმუშავებს ინდიკატორებს, კრიტერიუმებს, მექანიზმებს, ფორმებს და კითხვარს რაც განსაზღვრულია დოკუმენტით „სამეცნიერო საქმიანობის განვითარების სტრატეგია“.
- 2) საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილებასთან ერთად შეიმუშავებს ინტერნაციონალიზაციის განხორციელების შეფასების ინდიკატორებს და კრიტერიუმებს;
- 2) აღნიშნულ სამსახურებთან ერთად გეგმავს შეფასების პროცესს;
- 3) შეფასებას ახორციელებს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეფასების გჯუფთან ერთად, რომელსაც (ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით) განსაზღვრავს ფაკულტეტი.
- 4) შიდა შეფასების შედეგების საფუძველზე შეიმუშავებს რეკომენდაციებს პერსონალის საქმიანობის ხარისხის ამაღლების მიზნით, რაც ხორციელდება რექტორთან შეთანხმებით სასწავლო წლის ბოლოს და/ან საჭიროების შემთხვევაში.

2. შეფასების ინსტრუმენტები:

- 1) ფაკულტეტის/კათედრების სამეცნიერო საქმიანობის ანგარიშები;
- 2) სამეცნიერო საქმიანობის შეფასების ფორმა;
- 3) საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილების ანგარიში;
- 4) სტუდენტთა კითხვარი უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით ;
- 5) აკადემიური/მოწვეული პერსონალის კითხვარი უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით ;
- 6) აკადემიური პერსონალის კითხვარი სამეცნიერო საქმიანობის მხარდაჭერით კმაყოფილების შესახებ.

3. შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურა:

- 1) სასწავლო წლის ბოლოს, შიდა შეფასების შედეგების საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს დასკვნებსა და რეკომენდაციებს უნივერსიტეტში მიმდინარე სამეცნიერო საქმიანობისა და ინტერნაციონალიზაციის პროცესის ეფექტიანობასთან დაკავშირებით და წარუდგენს რექტორს;
- 2) დასკვნებისა და რეკომენდაციების განხილვის შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში, იგეგმება სამეცნიერო საქმიანობისა და ინტერნაციონალიზაციის პროცესის ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებები.

8

მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების ხარისხის შეფასება

1. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური:

- 1) შეიმუშავებს მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების ხარისხის შეფასების ინდიკატორებს, კრიტერიუმებს და ფორმებს;

- 2) შეიმუშავებს მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების ხარისხის შეფასების კითხვარებს;
- 3) გეგმავს შეფასების პროცესს, განსაზღვრავს შესაფასებელ საკითხებს, შეარჩევს შიდა შემფასებელთა ჯგუფს (ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით).

2. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების შეფასების ინსტრუმენტები

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების ხარისხის შეფასების ინსტრუმენტებად გამოყენებულია:

- 1) უნივერსიტეტის სამეურნეო სამსახურის ანგარიში;
- 2) უნივერსიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ანგარიში;
- 3) უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის გამგის ანგარიში;
- 4) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების სტუდენტთა მიერ შეფასება;
- 5) პერსონალის მიერ მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების შეფასება;
- 6) ბიბლიოთეკით სტუდენტთა კმაყოფილების კითხვარი;
- 7) ბიბლიოთეკით აკადემიური და მოწვეული პერსონალის კმაყოფილების კითხვარი.

3. შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურა

შიდა შეფასების შედეგების საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური:

- 1) სასწავლო წლის ბოლოს, შიდა შეფასების შედეგების საფუძველზე შეიმუშავებს დასკვნებსა და რეკომენდაციებს უნივერსიტეტის მატერიალურ, საინფორმაციო და ფინანსურ რესურსებთან დაკავშირებით და წარუდგენს რექტორს.
- 2) დასკვნებისა და რეკომენდაციების განხილვის შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში, იგეგმება მატერიალურ-ტექნიკურ რესურსების გაუმჯობესების, რაციონალური გამოყენების, განახლება-სრულყოფისა და შექმნის საჭიროება.
- 2) იგეგმება ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შევსება-განახლებისა და სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებულ სავალდებულო ლიტერატურასთან შესაბამისობაში მოყვანის ღონისძიებები.
- 3) იგეგმება კომპიუტერული ტექნიკის სასწავლო პროცესში გამოყენების შესაძლებლობისა და პროგრამული უზრუნველყოფის ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებები.

9

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასების სისტემა

1. შეფასების სისტემა და კომპონენტები:

- 1) უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფისა და შეფასების მიზნით შექმნილია დოკუმენტების, წესების, ინსტრუქციების, გზამკვლევების, შეფასების მექანიზმების, კრიტერიუმებისა და ინსტრუმენტების ფართო ბაზა.
- 2) ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობა ფასდება სასწავლო წლის განმავლობაში ერთხელ.
- 3) შეფასების პროცესს ახორციელებს რექტორი ან/და მისი ბრძანების საფუძველზე შექმნილი კომისია, აგრეთვე, შესაძლებელია ჩატარდეს დამატებითი კვლევები დაინტერესებულ მხარეებთან.

4) ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასების შედეგების საფუძველზე რექტორი უფლებამოსილია დაგეგმოს და განახორციელოს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარების ღონისძიებები.

2. შეფასების კომპონენტები: ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობა ფასდება შემდეგი კომპონენტებით:

- 1) ხარისხის შეფასების მეთოდოლოგიური და სამართლებრივი ბაზის ხარისხი;
- 2) ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გამჭვირვალობა და ხელმისაწვდომობა ;
- 3) შეფასების ობიექტურობა;
- 4) კვლევაში მონაწილე დაინტერესებული მხარეების ჩართულობის უზრუნველყოფა;
- 5) ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელების შედეგზე ორიენტირებულობა;
- 6) დროული და ეფექტიანი რეაგირება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციებზე;
- 7) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობით და მასზე დაკისრებული უფლება-მოვალეობების შესრულებით დაინტერესებული მხარეების კმაყოფილება;

3. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასების ინსტრუმენტები
ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასების ინსტრუმენტებად გამოყენებულია:

- 1) უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წლიური ანგარიში;
- 2) ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების წლიური ანგარიში;
- 3) რეგულაციები, ინსტრუქციები, ფორმები, კითხვარები;
- 4) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებით განსაზღვრული და ფაქტიურად განხორციელებული საქმიანობის შესაბამისობის ანალიზი;
- 5) უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფით დაინტერესებულ მხარეთა კმაყოფილების გამოკითხვის შედეგები.

4. ხარისხის შეფასების შედეგები, დასკვნები და ანგარიშები

რამდენად ეფექტიანია ხარისხის უზრუნველყოფის და შეფასების მექანიზმები, აისახება შემდეგ შედეგებში, დასკვნებსა და ანგარიშებში:

შედეგები, დასკვნები, რეკომენდაციები
1. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების შედეგები, დასკვნები და რეკომენდაციები (მ.შ. სწავლის შედეგების მიღწევის მაჩვენებლები შედეგები, დასკვნები და რეკომენდაციები);
2. სასწავლო პროცესის და სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა-სწავლებისა და სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმების შეფასების შედეგები, დასკვნები და რეკომენდაციები;
3. პერსონალის საქმიანობის შეფასების შედეგები, დასკვნები და რეკომენდაციები;
4. კვლევის და ინტერნაციონალიზაციის შეფასების შედეგები, დასკვნები და რეკომენდაციები;
5. მართვის ეფექტიანობის, ინფორმაციის მენეჯმენტისა და საჯაროობის შეფასების შედეგები, დასკვნები და რეკომენდაციები;
6. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების შეფასების შედეგები, დასკვნები და რეკომენდაციები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტიანობის შეფასების შედეგები, დასკვნები და რეკომენდაციები;

ანგარიშები

1. უნივერსიტეტის/ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების წლიური ანგარიშები, რაც უნდა მოიცავდეს:
 - 1) საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ანგარიშს;
 - 2) სასწავლო პროცესის და სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა-სწავლებისა და სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმების შეფასების ანგარიშს;
 - 3) პერსონალის საქმიანობის შეფასების ანგარიშს;
 - 4) კვლევის და ინტერნაციონალიზაციის შეფასების ანგარიშს;
 - 5) მართვის ეფექტიანობის, ინფორმაციის მენეჯმენტისა და საჯაროობის შეფასების ანგარიშს;
 - 6) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების შეფასების ანგარიშს.

5. რეაგირება ხარისხის შეფასების შედეგებზე, დასკვნებსა და ანგარიშებზე

- 1) წარდგენილი ანგარიშებისა და დასკვნების საფუძველზე, როგორც ფაკულტეტის საბჭო, ისე აკადემიური საბჭო აყალიბებს სამოქმედო გეგმას, რომელიც აისახება შესაბამის ოქმში.
- 2) სამოქმედო/საოპერაციო გეგმა წარმოადგენს რეაგირების ფორმას და მოიცავს შემდეგ რეკვიზიტებს:
 - პრობლემის აღწერა;
 - მოქმედებათა მოწესრიგებული ერთობლიობა;
 - მოქმედების შესრულების ვადები;
 - მოქმედების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი/პირები;
 - მოქმედების განსახორციელებლად საჭირო რესურსები.
- 3) ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებული საოპერაციო გეგმის შესრულების მონიტორინგს ახორციელებს ფაკულტეტის დეკანი, ხოლო აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული საოპერაციო გეგმის შესრულების მონიტორინგს ახორციელებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.
- 4) სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ ინფორმაცია აისახება შემდეგი საანგარიშო პერიოდის შესაბამის ანგარიშებში.

- 1) ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა ძალაშია აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებისთანავე;
- 2) წინამდებარე დოკუმენტის დამტკიცებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმები“.
- 3) დოკუმენტი ექვემდებარება განახლებას საქართველოს კანონმდებლობაში მომხდარი ცვლილებების ან უნივერსიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად.

დანართები:

1. შეფასების ფორმები (20)

დანართი N	ანგარიშის და შეფასების ფორმები	ფორმის N
დანართი 1.	საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმა და კრიტერიუმები	ფორმა N1
დანართი 2.	სილაბუსის შეფასების ფორმა	ფორმა N2
დანართი 3.	პროგრამაში ცვლილებების შეტანის ფორმა	ფორმა N3
დანართი 4.	კრედიტების აღიარების ფორმა	ფორმა N4
დანართი 5.	პროგრამის მიზნების სწავლის შედეგების, კურიკულუმის რუკები, გეგმა	ფორმა N5
დანართი 6.	პროგრამის და სილაბუსის სწავლის შედეგების შეფასების ფორმა	ფორმა N6
დანართი 7.	აკადემიური/მოწვეული პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის ანგარიში	ფორმა N7
დანართი 8.	ფაკულტეტის კათედრის წლიური სამეცნიერო საქმიანობის ანგარიშის ფორმა	ფორმა N8
დანართი 9.	პერსონალის სასწავლო საქმიანობის ანგარიშის ფორმა	ფორმა N 9
დანართი 10.	პერსონალის ადმინისტრაციულ-საზოგადოებრივი საქმიანობის ანგარიში	ფორმა N10
დანართი 11.	პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის შეფასების ფორმა	ფორმა N11
დანართი 12.	პერსონალის სასწავლო საქმიანობის შეფასების ფორმა	ფორმა N12
დანართი 13.	კოლეგიალური შეფასების (ურთიერთდასწრების) ფორმა	ფორმა N13
დანართი 14.	პერსონალის ადმინისტრაციულ-საზოგადოებრივი საქმიანობის შეფასება	ფორმა N14
დანართი 15.	სტუდენტის მიერ ლექტორის/კურსის შეფასების ფორმა	ფორმა N15
დანართი 16.	აკადემიური პერსონალის საბოლოო შეფასების ფორმა	ფორმა N 16
დანართი 17.	სტრატეგიის/სამოქმედო გეგმის შეფასების გეგმის ფორმა	ფორმა N17
დანართი 18.	ადმინისტრაციული პერსონალის შეფასების ფორმა	ფორმა N18
დანართი 19.	დამხმარე პერსონალის შეფასების ფორმა	ფორმა N19
დანართი 20.	უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წლიური ანგარიში	ფორმა N20

2. კითხვარები (38)

N	კითხვარი
კითხვარი N1	პროგრამის შეფასება სტუდენტის მიერ
კითხვარი N2	პროგრამის შეფასება აკადემიური პერსონალის მიერ
კითხვარი N3	ლექტორის/კურსის შეფასება სტუდენტის მიერ
კითხვარი N4	პროგრამის შეფასება კურსდამტავრებულის მიერ
კითხვარი N5	პროგრამის შეფასება დამსაქმებლის მიერ
კითხვარი N6	პროგრამის სამეცნიერო კომპონენტის შეფასება სტუდენტის მიერ
კითხვარი N7	კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და კარიერული წინსვლის კითხვარი
კითხვარი N8	სასწავლო პროცესის ორგანიზებით სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა
კითხვარი N9	სასწავლო პროცესის ორგანიზებით აკადემიური და მოწვეული პერსონალის კმაყოფილების კვლევა
კითხვარი N10	პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება სტუდენტის მიერ

კითხვარი N11	პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ
კითხვარი N12	პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება კურსდამთავრებულის მიერ
კითხვარი N13	პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება დამსაქმებლის მიერ
კითხვარი N14	სტუდენტთა კითხვარი პლაგიატთან დაკავშირებით
კითხვარი N15	მობილობით გადმოსულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა
კითხვარი N16	კონსულტაციებით/ტუტორიალით სტუდენტთა კმაყოფილების კითხვარი
კითხვარი N17	მხარდაჭერის სერვისებით სტუდენტთა კმაყოფილების კითხვარი
კითხვარი N18	სტუდენტის კითხვარი ეთიკის ნორმებთან დაკავშირებით
კითხვარი N19	აკადემიური/მოწვეული პერსონალით სტუდენტთა ზოგადი კმაყოფილების კითხვარი
კითხვარი N20	აკადემიური და მოწვეული პერსონალის კმაყოფილების კვლევა
კითხვარი N21	სტუდენტების მიერ ადმინისტრაციის შეფასების კითხვარი
კითხვარი N22	მართვის ეფექტიანობით პერსონალის კმაყოფილების კითხვარი
კითხვარი N23	პერსონალის კითხვარი ეთიკის ნორმების დაცვასთან დაკავშირებით
კითხვარი N24	ინფორმაციის საჯაროობით სტუდენტის კმაყოფილების კითხვარი
კითხვარი N25	ინფორმაციის საჯაროობითა და ხელმისაწვდომობით სტუდენტის კმაყოფილების კითხვარი
კითხვარი N26	უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციით სტუდენტის კმაყოფილების კითხვარი
კითხვარი N27	აკადემიური/მოწვეული პერსონალის კითხვარი ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით
კითხვარი N28	სამეცნიერო საქმიანობის მხარდაჭერით აკადემიური პერსონალის კმაყოფილების კითხვარი
კითხვარი N29	სტუდენტის მიერ მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების შეფასების კითხვარი
კითხვარი N30	პერსონალის მიერ მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების შეფასების კითხვარი
კითხვარი N31	სტუდენტთა მიერ ბიბლიოთეკის შეფასების კითხვარი
კითხვარი N32	აკადემიური პერსონალის მიერ ბიბლიოთეკის შეფასების კითხვარი
კითხვარი N33	ხარისხის უზრუნველყოფით დაინტერესებულ მხარეთა კმაყოფილების კითხვარი
კითხვარი N34	პერსონალის კითხვარი SWOT ანალიზისთვის
კითხვარი N35	დამსაქმებელთა მონაწილეობის კითხვარი პროგრამის შედგენასა და განვითარებაში
კითხვარი N36	დამსაქმებლების გამოკითხვა გთუნის ხედვისა და მისიის განაცხადთან დაკავშირებით
კითხვარი N37	პერსონალის გამოკითხვა გთუნის სტრატეგიულ მიზნებთან და ინდიკატორებთან დაკავშირებით
კითხვარი N38	პერსონალის გამოკითხვა სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით